ხელშეკრულება

(გარე რეკლამის მცირე საშუალების განთავსების უფლების გაცემის შესახებ)

ქ. თბილისი

28 ივლისი, 2022 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ: შპს "ალმა" (ს/კ: 204873388; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი - 17/11/1995 წელი; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონში, ვანის ქ, №9) (შემდგომში "უფლების გამცემი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ტრაპაიძის მიერ

და

მეორეს მხრივ: სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" (ს/კ: 204478948; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი – 24/05/2005 წელი, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) (შემდგომში "უფლების მიმღები") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიორგობიანის (პ/ნ: 01017000104) მიერ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„უფლების გამცემი" და „უფლების მიმღები" შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე – როგორც „მხარე".

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „უფლების გამცემი", მისთვის ქ. თბილისის მერიის მიერ მინიჭებული ნებართვის საფუძველზე, აძლევს უფლებას „უფლების მიმღებს", რათა მან საკუთარი საქმიანობის შესახებ ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ. N204-ის მიმდებარედ განათავსოს, 1 ცალი გარე რეკლამის განთავსების მცირე საშუალება, კერძოდ სარეკლამო აბრა - ზომით: 5 კვ.მ, რომლის შინაარსისა და განთავსების კანონმდებლობასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს „უფლების მიმღები".

1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სარეკლამო საშუალების განთავსების პერიოდი განისაზღვრება 2022 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.

მუხლი 2. საზღაური და გადახდის წესი

2.1. ხელშეკრულების სრული საზღაური შეადგენს 3000 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ყოველთვიური მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 250 ლარით დღგ-ს ჩათვლით.

2.2. სახელშეკრულებო საზღაურის გადახდა მოხდება ავანსად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

2.3. საზღაურის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების გაფორმებით და არ არის დამოკიდებული სარეკლამო საშუალების განთავსებაზე.

2.4. საზღაურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, უფლების მიმღები ვალდებულია თანხის გადმორიცხვისას, დანიშნულებაში მიუთითოს: „უფლების ღირებულება"

2.5. თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს "უფლების გამცემი"-ს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერი: № GE20BG0000000361572800

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში.

3.3. უფლების მიმღები იღებს ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალურობა ამ ხელშეკრულებაზე, ე.ი. არ დაუშვას ამ ხელშეკრულების პირობებზე სხვა პირებისათვის ინფორმაციის გავრცელებას.

3.4. უფლების მიმღები აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ საკუთარი საქმიანობისათვის ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული გარე რეკლამის მცირე საშუალების (სარეკლამო მანიშნებლის/აბრის/კონსტრუქციის) გარდა ქ. თბილისში არ აქვს განთავსებული სხვა სახის საშუალება. იმ შემთხვევაში, თუკი უფლების გამცემი აღმოაჩენს, რომ უფლების მიმღებმა დამალა ხელშეკრულების საგნით რეგულირებული სარეკლამო მანიშნებლი/აბრა/კონსტრუქცია – უფლების გამცემი უფლების მიმღებს დააკისრებს ერთჯერად ჯარიმას 5000.00 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და ამასთან, უფლების მიმღებს დაევალება აღნიშნულ სარეკლამო მანიშნებლი/აბრა/კონსტრუქციაზე ხელშეკრულების გაფორმება ან/და მისი დაუყოვნებლივი დემონტაჟი.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით „უფლების მიმღები“ იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მესამე პირების მიერ გამოთქმულ ყველა სახის პრეტენზიასა თუ ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში წამოჭრილ ყველა დავას (მათ შორის თბილისის მერიისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერ სამსახურის მიერ) გადაწყვეტს საკუთარი ძალებითა და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით.

3.6. უფლების გამცემი არ არის პასუხისმგებელი განთავსებული რეკლამის შინაარსსა და მისი (მცირე სარეკლამო საშუალების) განთავსების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. იმ შემთხვევაში თუ უფლების მიმღების მიერ რეკლამაზე დატანილი წარწერებისა თუ გამოსახულების გამოყენების გამო (აქვე მოიაზრება ქართველი და/ან უცხოელი ავტორების საავტორო უფლებების დარღვევა) ან/და მცირე სარეკლამო საშუალების კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით განთავსების გამო უფლების გამცემს დაუდგება მესამე პირების მიმართ რაიმე სახის ზიანის/ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულება, უფლების მიმღებს უფლების გამცემის სასარგებლოდ დაეკისრება ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებისათვის ანაზღაურებული ზიანის/ჯარიმის სრული ოდენობით კომპენსაცია.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. უფლების მიმღების მიერ მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საზღაურის ან/და ნებისიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, უფლების გამცემი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო უფლების მიმღები ვალდებულია გადაუხადოს უფლების გამცემს ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე გადასახდელი საზღაურის 0.5%-ი პირგასამტეხლოს სახით.

4.2. ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, უფლების გამცემს უფლება აქვს წარუდგინოს უფლების მიმღებს წერილობითი მოთხოვნა საჯარიმო სანქციის გადახდის შესახებ (პირგასამტეხლო) თვიური მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ უფლების მიმღები 3 (სამი) დღის ვადაში არ დაადასტურებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას ან არ წარმოადგენს დასაბუთებულ პრეტენზიას შესაბამისი მტკიცებულებებით, მომსახურება უფლების გამცემის მხრიდან ჩაითვლება გაწეულად უფლების მიმღების თანხმობის გარეშეც და უფლების მიმღები არ არის უფლებამოსილი გაწეულ მომსახურებაზე წარადგინოს პრეტენზია. გარდა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულისა, დავის შემთხვევაში უფლების გამცემმა შესრულება დამატებით შეიძლება დაადასტუროს როგორც, ხელშეკრულების, ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის, თუ მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერით, ისე ფაქტობრივი შესრულებით.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ, თუ უფლების მიმღები არ განახორციელებს, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში გარე რეკლამის მცირე საშუალების დემონტაჟს, ასეთ შემთხვევაში უფლების გამცემი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო უფლების მიმღები ვალდებულია გადაუხადოს უფლების გამცემს ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე გადასახდელი საზღაურის 0.5%-ი პირგასამტეხლოს სახით.

4.4. უფლების მიმღების მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უფლების გამცემი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით ჯარიმის სახით გადახდა.

4.5. უფლების გამცემი პასუხს არ აგებს განთავსებული მცირე სარეკლამო საშუალების მესამე პირების მხრიდან დაზიანებაზე/მოპარვაზე/მართლსაწინააღმდეგო გამოყენებაზე, ასეთ შემთხვევაში საფასურის დარიცხვა არ შეჩერდება.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.
5.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობს ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ: კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარი (16 მ/წმ), აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები და სხვა გარემოებები.
5.3. ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ვალდებულია ამ გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.
5.4. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.
5.5. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
5.6. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 6. შეთანხმება მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების სხვა პირისათვის გადაცემა შეთანხმების გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 7. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.
7.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არ აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არ აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხზე მხარეები ერთმანეთში კორესპონდენციას გაცვლიან შეტყობინებების მეშვეობით. შეტყობინების ფორმა უნდა იყოს წერილობითი ქართულ ენაზე, რომელიც მხარეებს გადაეცემა:
ა) პირადად, ან
გ) დაზღვეული ფოსტით, ან
დ) კურიერის მეშვეობით ან
ე) ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნის მეშვეობით;.
8.2. შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იქნეს შესაბამისი მხარის უფლებამოსილი პირის მიერ, იგი მიმართული უნდა იყოს იმ მხარის უფლებამოსილი პირისადმი, რომელსაც ეს შეტყობინება უნდა გადაეცეს და მიწოდებული უნდა იქნეს პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელიც მოცემულმა მხარემ შეატყობინა მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების თანახმად.

8.3. შეტყობინება პირადად გადაცემულად ითვლება მისი მხოლოდ ხელიდან ხელში გადაცემისა და შეტყობინების მეორე ასლზე მიმღების ხელმოწერის შემთხვევაში, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.
8.4. შეტყობინება დაზღვეული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებულად ჩაითვლება ფოსტის მოხელის ან კურიერის მიერ მისი (შეტყობინების) მეორე მხარისათვის ოფიციალურად ჩაბარების მომენტიდან, რაც მითითებული იქნება კურიერის ან ფოსტის მოხელის მიერ შეტყობინების გადაცემის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერში და დადასტურებული იქნება მიმღების მიერ, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ. ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინება მიწოდებულად ჩაითვლება შეტყობინების გაგზავნის დღის შემდგომი სამუშაო დღეს.
8.5. შეტყობინება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს ჩაითვლება ბათილად და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა. შეტყობინება, რომელიც არ იყო მიწოდებული ამ მუხლის თანახმად არ ითვლება გაგზავნილად.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.
9.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავისა და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.
10.2. უფლების მიმღებს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება უფლების გამცემის თანხმობის გარეშე. უფლების მიმღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ აუნაზღაურებს დარჩენილ სახელშეკრულებო თანხას ან შესთავაზებს შემსრულებელს თავის სანაცვლოდ ახალ გადახდიუნარიან და უფლების გამცემისთვის მისაღებ დამკვეთს, ამასთან ახალი დამკვეთი თანახმა უნდა იყოს ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით;
10.3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:
ა) მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
ბ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი გადაწყვეტილებით რომელიც შეუძლებელს ხდის, წინამდებარე ხელშეკრულების გაგრძელებას;
გ) უფლების მიმღების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადაუხდელობის გამო;
დ) უფლების გამცემის მიერ, უფლების მიმღებისთვის 7 დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე.
10.4. უფლების გამცემი ვალდებულია, მისი ბრალეულობის გამო ხელშეკრულების ვადაზე ადრე უმიზეზოდ შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს უფლების მიმღებს ავანსად გადახდილი თანხა, განხორციელებული მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.
10.5. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში „უფლების მიმღები" ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ან ვადამდე ადრე შეწყვეტიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში, მოახდინოს სარეკლამო მოწყობილობის (კონსტრუქციის) დემონტაჟი და შესაბამისი მტკიცებულება წარუდგინოს „უფლების გამცემს", აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლების გამცემი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს შესაბამისი სარეკლამო კონსტრუქციის დემონტაჟი და მისი შენახვა 2 (ორი) კვირის განმავლობაში, მოხსნის და შენახვის ხარჯები დაეკისრება უფლების მიმღებს, ასეთ შემთხვევაში უფლების გამცემს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა სარეკლამო კონსტრუქციის დაზიანების გამო.
10.5.1. თუ 2 (ორი) კვირის განმავლობაში უფლების მიმღები არ განახორციელებს სარეკლამო კონსტრუქციის გატანას, უფლების გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს ამ სარეკლამო კონსტრუქციის უტილიზაცია, რომლის ხარჯები დაეკისრება უფლების მიმღები.
10.5.2. იმ შემთხვევაში, თუ უფლების მიმღების მიერ, დროულად დემონტაჟის არ განხორციელების შემთხვევაში, უფლების გამცემს დაეკისრება რაიმე სახის სანქცია/ჯარიმა, უფლების მიმღები ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნული სანქციით/ჯარიმით დაკისრებული თანხები.

10.6. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის, თვითმართველი ორგანოს ან/და სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ შემოღებული იქნება რაიმე სახის შეზღუდვა ან/და აკრძალვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანთან დაკავშირებით, ანდა განხორციელდება უფლების გამცემის სანებართვო პირობებში ცვლილება, უფლების გამცემი უფლებამოსილი იქნება დაუყოვნებლივ, გადახედოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, უფლების მიმღებისგან დამატებითი თანხმობის გარეშე, განახორციელოს პირობების ცვლილება, აცნობოს უფლების მიმღებს აღნიშნულის შესახებ, უფლების გამცემი აგრეთვე უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული მომსახურების ხელეკრულება ყოველგვარი დამატებითი პასუხისმგებლობის გარეშე.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება უფლების მიმღებთან, მეორე – უფლების გამცემთან.
11.2. ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაში.
11.3. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ მოქმედებს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
11.4. მხარეები ხელშეკრულებაძე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

მუხლი 12. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

"უფლების გამცემი" **შპს „ალმა"** **ს/კ: 204873388** **ფაქტ.მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის 64, საოფისე ფართი 16** **დირექტორი:** **გიორგი ტრაპაიძე** _____	**"უფლების მიმღები":** **სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"** **ს/კ: 204478948** **მის: ქ. თბილისი, დ, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ** **ელექტრონული ფოსტა:** info@hyundai.ge **დირექტორი:** **დავით გიორგობიანი** _____